ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 3/150 cpv 48160000

(მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით)

ქ. თბილისი 16 დეკემბერი 2013 წ.

ერთის მხრივ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად"), მისი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), მისი პრეზიდენტის, რუსუდან ასათიანის, სახით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "მიმწოდებელი" გაუწევს „შემსყიდველს" მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემდეგზე:

- შემსყიდველის სერვერზე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „Koha"–ს, (პროგრამული უზრუნველყოფა ელექტრონული კატალოგების შექმნისა და მართვისათვის. www.koha.org) დაინსტალირება;
- შემსყიდველის თანამშრომელთა ტრენინგი „Kohas"–ს მოხმარებაზე;
- ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „Koha"–ს გამართული მომსახურების უზრუნველყოფა დაინსტალირებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში;
- პროგრამის სრულად გაშვების შემდგომ „Koha"–ს მოხმარებაზე მუდმივი კონსულტაციები წლის განმავლობაში.

2. ხელშეკრულების მოქმედების და მომსახურების ვადები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 1 იანვრიდან და მოქმედების 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

2.2. შემსყიდველის სერვერზე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „Koha"–ს, დაინსტალირება არაუმეტეს 20 (ოცი) დღე წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

2.3. შემსყიდველის თანამშრომელთა ტრენინგი „Koha"–ს მოხმარებაზე არაუმეტეს 60 (სამოცი) დღე წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

3. მომსახურების შესრულების წესი

3.1. გამართული მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

4. ვალდებულების შესრულების ადგილი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია:
ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ#29.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებლის ვალდებულებები:

5.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს 1.1 პუნქტში მითითებული ვალდებულება უნაკლოდ;

5.1.2. მიმწოდებლის ვალდებულება მომსახურებაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისთვის მომსახურების დასრულების მომენტიდან.

მომსახურებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი;

5.1.3. თუკი ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას აღმოაჩნდება პროგრამის მუშაობასთან დაკავშირებული რაიმე ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ეს ნაკლი თავისი ხარჯით.

5.2. შემსყიდველის ვალდებულებები:

5.2.1. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს მომსახურება და აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.2.2. მიმწოდებლისგან მომსახურების მიღებისას შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მისი მოცულობა და ხარისხის შესაბამისობა ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით შეთანხმებულ პირობებთან.

6. მომსახურების ღირებულება:

6.1. ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „Koha"–ს ინსტალაციის ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარს.

6.2. შემსყიდველის თანამშრომელთა ტრენინგის ღირებულება „Koha"–ს მოხმარებაზე შეადგენს 440 (ოთხასოთხმოცი) ლარს.

6.3. წლიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 360 (სამასსამოცი) ლარს.

6.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1600.00 ლარი (ერთი ათას ექვსასი) ლარს.

7. მიღება-ჩაბარების და ანგარიშსწორების წესი

7.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით.

7.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეტაპობრივად, ცალკეული მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8. კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე

8.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს და ზედამხედველობას განახორციელებს თსსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ეკა ვერულაშვილი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან კონტროლის განხორციელება ეკისრება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტს.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გადახდილი თანხის ნაწილის უკან დაბრუნება ხელშეკრულების ბოლომდე დარჩენილი თვეების რაოდენობის პროპორციულად, მომსახურების

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისიწინებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ გაწევა;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულებით გათვალისიწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ცალკეული მომსახურებების ღირებულების ოდენობით.

10.2 შემსყიდველს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალის-წინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, სამარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისიწნებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14. დავების გადაჭრის წესი

14.1 ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი – შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს).

16. მხარეთა იურიდიული მისამართები რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი“
ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია	**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**
თბილისი, 0107, გუდიაშვილის ქუჩა 7	ვაჟა ფშაველას გამზ.#33
საიდენტიფიკაციო კოდი: 204417862	საიდენტიფიკაციო კოდი 211328703
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სს თი ბ ისი ბანკი, კოდი: TBCBGE22	სს თი ბი სი ბანკი, კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:	ანგარიშსწორების ანგარიში:
GE73TB0600000100700861 (ლარი)	GE34 TB11 0000 0000 609 229

ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი
რ. ასათიანი

თსსუ-ს კანცლერი
ზ. ორჯონიკიძე